ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №243

ქ. თბილისი 25 დეკემბერი, 2014 წ.

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი" (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ შპს „ ვინკო" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ჩიმაკაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " **საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია, (საკუთარი სახსრებით) ჰორიზონტალური ჟალუზების მოწოდების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია: ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდება. (საქონლის დასახელება, CPV კოდი, რაოდენობა და ერთეული ფასი მოყვანილია N1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: **1375,50 (ათას სამას სამოცდათხუთმეტი ლარი და 50 თეთრი)** ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი გურამიშვილის გამზირი 72ბ

4.3 შესყიდვის ობიექტის მოწოდების, პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება **2014 წლის 25 დეკემბრიდან 2013 წლის 30 დეკემბრამდე.**

5. თანმდევი მომსახურება

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ტრანსპორტირებასთან და მონტაჟთან.

5.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი" მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი გოდერძი მადურაშვილი.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7.გარანტია

7.1 მიმწოდებელი მიწოდებულ საქონელზე იძლევა 1 წლიან გარანტიას და იღებს ვალდებულებას განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება- აღდგენა, შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე შემსყიდველის მიერ წერილობით ან სატელეფონო შეტყობინებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

8.3 მიმწოდებელი უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურის წამოდგენას.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული სქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10 .5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05 %-ს.

10.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

10.7 საჯარიმო სანქციების გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 25 დეკემბრიდან 2015 წლის 31 იანვრამდე.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

15.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის დეფექტებს სათანადო მიზეზების მითითებით.

15.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მომწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“
მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 72ბ , ს/კ 209467646;
სს. „კორსტანდარტ ბანკი“ ბანკის კოდი KSBGGE22 ა/ა GE11KS0000000360800073

დირექტორი: ნონა ლუდოფშაური

(ხელმოწერა)

მომწოდებელი:
შპს „ვინკო“ მისამართი: ქ. თბილისი ლ. გოთუას ქ. №22; ტელ: 595-670006

სს.საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22 ა/აGE78BG0000000598179200;
ს/კ 404997456

დირექტორი: ზაზა ბიმაკაძე

(ხელმოწერა)

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	CPVკოდი	რაოდენობა	განზომილება	ფართობი	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	2	3	4		5	6	7	8	9
1	ჰორიზონტალური ჟალუზი (ოთახი 105)	42512520	22	ცალი	42,0მ²	32,75	1375,50	2014 წლის 25 დეკემბრიდან 2014 წლის 30 დეკემბრამდე.	ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 72ბ
							ჯამი: 1375,50		

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულებას შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ერთეულის ფასს

შემსყიდველი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი"

დირექტორი

ნონა ღუდუშაური

მიმწოდებელი

შპს „ვინკო"

დირექტორი

ბაბა ჩიმაკაძე